



შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის“

სტრატეგიული განვითარების (შვიდწლიანი) და სამოქმედო (ერთწლიანი) გეგმები

შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის“ (შემდგომში „კოლეჯის“) საქმიანობა ეფუძნება საგანმანათლებლო სივრცეში აღიარებულ პრინციპებსა და მიდგომებს. კოლეჯი მიზნად ისახავს შექმნას ისეთი ტიპის დაწესებულება, რომელიც პასუხისმგებელია საზღვაო ტრანსპორტის მომსახურების სფეროსათვის მომზადებული კადრების კვალიფიციურობაზე და ამით გაიზიაროს საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა. კოლეჯს მიაჩნია, რომ დაწესებულების თანმიმდევრული განვითარებისათვის აუცილებელი ინდიკატორია - კოლეჯის სტრატეგიის ფორმულირება, რომელშიც გაცხადებული იქნება დაწესებულების მიდგომა და ხედვა, რომელსაც ირჩევს დასახული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად.

წინამდებარე სტრატეგია შექმნილია იმისათვის, რომ კოლეჯმა შეძლოს მის მიერ დასახული მიზნის გამჭვირვალედ და ჯეროვნად განხორციელება. მასში ასახულია კოლეჯის გრძელვადიანი მიზნები და ამოცანები, სამოქმედო კურსი, მიზნების მიღწევის გზები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი/პირები, დასახული მიზნების რეალიზების ვადები, საშუალებები და შედეგები.

დაწესებულება დარწმუნებულია, რომ მისი სტრატეგიის რეალიზება შესაძლებელია დაწესებულების შიდა და გარე ფაქტორების გათვალისწინებითა და ობიექტური ანალიზით. შესაბამისად კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმის გადახედვა უნდა მოხდეს პერიოდულად და მის მოდიფიცირებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა დაინტერესებულმა პირმა.

კოლეჯის მისიაა საზოგადოებას შევთავაზოთ:

– მრავალწლიან გამოცდილებაზე დაფუძნებული და თანამედროვე სასწავლო მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე განხორციელებული საზღვაო ტრანსპორტის მომსახურების სფეროს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც მოამზადებენ შრომის შიდა და საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციების მქონე, კონკურენტუნარიან მეზღვაურებს;

-სოციალური ინკლუზიის, პიროვნული და პროფესიული განვითარებისა და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშემწყობი გარემო;

ხედვა

ჩვენი ხედვაა შვეინარჩუნოთ და გავაუმჯობესოთ კოლეჯის, როგორც საზღვაო ტრანსპორტის მომსახურების სფეროში ერთერთი წარმატებული, კონკურენტუნარიანი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების რეპუტაცია.

ღირებულებები

კოლეჯის უნიკალურ გამოცდილებას განსაზღვრავს ღირებულებები, რომლებიც ეფუძნება გუნდური მუშაობის, ეთიკური და პასუხისმგებლიანი ქცევის, განვითარებისკენ მუდმივი სწრაფვისა და პროფესიონალიზმის, საზღვაო ტრანსპორტის მომსახურების დარგისადმი ერთგულების პრინციპებს.

მისიის უზრუნველსაყოფად კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს პროფესიულ სტუდენტებთან, მსმენელებთან, პერსონალთან, დამსაქმებლებთან, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსთან და საზოგადოების სხვა დაინტერესებულ წრეებთან.

კოლეჯის პრიორიტეტული მიზნებია :

- ა) მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება-სრულყოფა;
- ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, ტრენინგ-კურსების და სასერტიფიკატო პროგრამების განხორციელება;
- გ) ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების პერმანენტული განვითარება;
- დ) სტუდენტური სერვისების გაუმჯობესება -განვითარება;
- ე) დაწესებულების ორგანიზაციული განვითარება და პოპულარიზაციის უზრუნველყოფა;
- ვ) საზღვაო სფეროს ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებზე ორიენტირება.

მიზნების მისაღწევად კოლეჯი:

- უზრუნველყოფს თითოეული პროფესიული სტუდენტის განათლების, მომზადებისა და განვითარების პირობებს მისი განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინებით;
- ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე;
- ზრუნავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის პირობების შესაქმნელად;
- ხელს უწყობს თანამედროვე ცოდნისა და მეთოდების გავრცელებას;
- თანამშრომლობს პარტნიორ და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;
- ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

➤ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია

კოლეჯში სტრატეგიული დაგეგმვა ხორციელდება *ე.წ. SWOT -ანალიზის* მეთოდით და უზრუნველყოფს:

- ა) სამომავლო პრიორიტეტებისა და სასურველი, მისაღწევი მიზნების განსაზღვრას;
- ბ) პროგრესის მიღწევისთვის კონკრეტული საფუძვლების შექმნას;
- გ) დაინტერესებულ პირთა ჩართულობას სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში და მათი ხედვებისა და ინტერესების გათვალისწინებას;
- დ) ხელს უწყობს დაწესებულებაში ორგანიზაციული კულტურის დამკვიდრებას.

➤ სტრატეგიულ დაგეგმვაში დაინტერესებული პირების მონაწილეობის უზრუნველყოფა

სტრატეგიული დაგეგმვა ხორციელდება თანამშრომლობით ფორმატში პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პოტენციური დამსაქმებლების და კოლეჯის პერსონალის, საზღვაო სააგენტოს, აგრეთვე საზოგადოების სხვა დაინტერესებულ წევრთა მოსაზრებების გათვალისწინებით, სათანადო მეთოდოლოგიით დაგეგმილი და განხორციელებლი გამოკითხვების, შეხვედრების, სხვადასხვა დროს მოწოდებული ინფორმაციის ანალიზის სახით.

➤ სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების მონიტორინგი

სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების მონიტორინგის ეტაპი გულისხმობს კოლეჯის სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული საკითხების კონტროლს წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორების მეშვეობით. ამ მიზნით იქმნება მონიტორინგის ჯგუფი. აღნიშნული მონიტორინგი ხორციელდება არანაკლებ წელიწადში ერთხელ, დადგენილი განრიგით.

SWOT ანალიზი

<i>ძლიერი მხარეები</i>	<i>სუსტი მხარეები</i>
<ul style="list-style-type: none"> ▪ მაღალკვალიფიციური პერსონალი; ▪ შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად განხორციელებული პროფესიული პროგრამები; ▪ საერთაშორისო და ადგილობრივი სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ▪ მოთხოვნადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები; ▪ მოთხოვნების/სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი პრაქტიკის ობიექტები; 	<ul style="list-style-type: none"> ▪ პროფესიული განათლების არაპოპულარობა რეგიონში; ▪ მცირე რაოდენობის პროგრამები ▪ პროფესიულ სტუდენტთა დაბალი ჩართულობა სხვადასხვა აქტივობებში;
<i>შესაძლებლობები</i>	<i>საფრთხეები</i>
<ul style="list-style-type: none"> ▪ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება ▪ ახალი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება ▪ პარტნიორი დაწესებულებების ქსელის გაფართოება ▪ პერსონალის კვალიფიკაციის მუდმივ ამაღლებაზე ზრუნვა ▪ პროფესიული სტუდენტებისა და კვალიფიციური პერსონალის მოზიდვა 	<ul style="list-style-type: none"> ▪ მაღალკონკურენტული გარემო ▪ საკანონმდებლო ცვლილებები